ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №137/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ.-ისთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 10 მაისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. გ.-მ, ხოლო 2018 წლის საპროცესო კოლეგიის სხდომაში მიიღო მონაწილეობა.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის საცხოვრებელ სახლში ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ პირები, რომლებიც არ იხდიდნენ თანხას. მ. გ.-ს არ ჰქონდა საშუალება აღნიშნული პირები სახლიდან გამოესახლებინა, რადგან ქონება მის სახელზე რეგისტრირებული არ იყო. სწორედ აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად 2012 წელს მივიდა ადვოკატ ლ. ბ.-ის ოფისში, სადაც მიიტანა საბუთები. ადვოკატმა გადახედა საბუთებს, უთხრა, რომ ეს საქმე მისთვის ნაცნობი იყო და დაჰპირდა დახმარებას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 2 სექტემბერს ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა, რათა დაეწყო საქმის წარმოება, თავად კი წავიდა რუსეთში.

1.4 საჩივრის ავტორი საჩივარში უთითებს, რომ ადვოკატმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი, თუმცა არასწორად იყო მითითებული საჩივრის ავტორის სახელი, რის გამოც სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა აღნიშნული ფაქტი არ დაადასტურა და განმარტა, რომ 2018 წელს აიყვანა ახალი ადვოკატი, რომელმაც აუხსნა ბინის გადაფორმების პრობლემა, რაც დაბადების მოწმობაში საჩივრის ავტორის სახელის არასწორ ჩანაწერში მდგომარეობდა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2 წლის განმავლობა აწარმოებდა ლ. ბ. მის საქმეს, თუმცა აღნიშნული პრობლემის შესახებ მას არასოდეს უთქვამს. ადვოკატმა ლ. ბ.-მ მ. გ.-ს უთხრა, რომ ბინის მფლობელები სთხოვდნენ, რომ საქმე არ აეღო და იურიდიული მოქმედებები არ განეხორციელებინა, რისთვის სთავაზობდნენ გარკვეულ თანხას. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მისთვის გაურკვეველია ადვოკატმა რატომ ჩაატარებინა დამოუკიდებელ ექსპერტს ქონებაზე ექსპერტიზა, რომლის მიხედვით ექსპერტმა შეაფასა ბინაში მცხოვრები პირების ყოფნის პერიოდში საცხოვრებელ სახლზე ჩატარებული სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 5000 ლარი შეადგინა. მ. გ.-ს განმარტებით, აღნიშნულ საექსპერტო დასკვნას მის საქმესთან შემხებლობა არ ჰქონდა, თუმცა ადვოკატი ეუბნებოდა მას, რომ მითითებული თანხა გადაეხადა ბინაში მყოფი პირებისთვის და ამის შემდეგ ისინი გამოვიდოდნენ საცხოვრებელი სახლიდან.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატს გადაუხადა მთლიანობაში 2000 ლარი, 2013 წელს - 1200 ლარი, ხოლო შემდეგ 700 ლარი და 100 ლარი. საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატისგან თანხის სრულად დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ბ.-მ 2018 წლის 30 ოქტომბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება. 2018 წლის 29 ნოემბერს და 2019 წლის 12 თებერვალს ადვოკატი გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის სხდომებზე.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2013 წელს, იცავდა მ. გ.-ს ინტერესებს, რომელსაც სურდა საცხოვრებელი სადგომის სარგებლობით წარმოშობილი ურთიერთობის მოწესრიგება. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მასთან ოფისში მისვლის დროს აუხსნა, რომ მისი ოჯახი 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე ცხოვრობდა რუსეთში, ხოლო მის სახლში ცხოვრობდნენ სხვა პირები. ადვოკატმა ნახა მ. გ.-ს მიერ წარმოდგენილი საქმის მასალები და შეუთანხმდა საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურების განხორციელებაზე. მ. გ.-მ ადვოკატს გადასცა 1200 ლარი, რის შემდეგაც ადვოკატი შეუდგა საქმიანობას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს მოუმზადა საქმე, კერძოდ: დამოუკიდებელ ექსპერტის მიერ ჩატარდა საცხოვრებელი სახლის შეფასება, რაშიც გადაიხადა 400 (ოთხასი) ლარი; ადვოკატმა მოამზადებინა შიდა აზომვითი ნახაზები, რისთვისაც ამზომველს გადაუხადა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი; რუსულ ენაზე შედგენილი საბინაო წიგნის ჩანაწერები გადაათარგმნინა თარჯიმანს და ნოტარიულად დაამოწმებინა, რაშიც დაახლოებით 120 ლარი

გადაიხადა; გამოითხოვა ცნობები საჯარო და სამოქალაქო რეესტრიდან - გაასწორა სააქტო ჩანაწერში არსებული არასწორი ჩანაწერი; გამოითხოვა ცნობები საინფორმაციო ბარათების შესახებ და მათში გადაიხადა 20 ლარი; გამოითხოვა ქონების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა და მასში გადაიხადა 10 ლარი; გამოითხოვა გარდაცვალების მოწმობები და მათი სააქტო ჩანაწერები და გადაიხადა - 5 ლარი; გამოითხოვა ფორმა ერთი და ცვლილება შეიტანა ჩანაწერში სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის საფასურმა შეადგინა 40 ლარი, გაამზადა სარჩელი და დაიბარა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ახლობელი, რადგან თავად საჩივრის ავტორი არ იმყოფებოდა საქართველოში და მას აუხსნა საქმის გარემოებები. ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ საცხოვრებელი რეგისტრირებული იყო ა. კ.-ს სახელზე და მასზე ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართა სხვადასხვა დაწესებულებებს, მათ შორის საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სამხედრო განყოფილებას, სანოტარო პალატას. ასევე ადვოკატმა ინფორმაცია მოიძია მ. გ.-ს მამის შესახებ, რომელსაც ა. კ.-სთან გაფორმებული ჰქონდა შინაურული ნასყიდობის ხელშეკრულება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან გაარკვია, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი მ. გ.-ს ძმამ გაასხვისა მხოლოდ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე და საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდნენ ზეპირი შეთანხმების ფარგლებში ქონების შემძენი პირები, რომლებმაც ჩაატარეს გარკვეული სამუშაოები. აღნიშნული პირები ითხოვდნენ ქონების გაზრდილი ღირებულების ანაზღაურებას ან ქონების მათ სახელზე გადაფორმებას, რისთვისაც 10 000 (ათი ათას) დოლარს გადაიხდიდნენ. ადვოკატმა განუმარტა მ. გ.-ს ეს პირობები, თუმცა საჩივრის ავტორის სურვილი იყო ქონების მიღება. ადვოკატმა შესთავაზა სასამართლოში სარჩელის შეტანა და მესამე პირებად ბინაში მცხოვრებ პირთა ჩართვა, რასაც საჩივრის ავტორი დაეთანხმა. ამის შემდეგ დაახლოებით ერთ კვირაში მასთან მივიდა მ. გ., მეგობარ მამაკაცთან ერთად და მოითხოვა ადვოკატის მიერ შეგროვებული მასალებისა და სარჩელის გადაცემა, რათა ეჩვენებინათ მათი ნაცნობი ადვოკატისთვის. ადვოკატმა საჩივრის ავტორს გადასცა ყველა მასალა. მ. გ.-ს შეხვედრისას არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს, ამასთან ადვოკატს უთხრა რომ მასალებს იმავე დღეს დააბრუნებდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მას 2013 წლიდან დღემდე მ. გ. არ უნახავს და მას პრეტენზია აქამდე არასოდეს განუცხადებია. ამასთან, ადვოკატმა ნოტარიუსისგან შეიტყო საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის სახელზე გაცემული მინდობილობის გაუქმების შესახებ.

2.6 ადვოკატის განმარტებით მას სასამართლოში სარჩელი არ შეუტანია, ვინაიდან საჩივრის ავტორმა სარჩელი და ყველა დოკუმენტაცია წაიღო.

2.7 ადვოკატი მზადყოფნას გამოთქვამს მ. გ.-ს საქმის წარმოება კვლავ გააგრძელოს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 მ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 03 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013-2014 წლებში. არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.2 მუხლი).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორების პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ლ. ბ.-მ მ. გ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით არ განახორციელა შესაბამისი მოქმედებები - არ გამოასწორა საჩივრის ავტორის დაბადების მოწმობაში დაშვებული უსწორობა, საცხოვრებელ სახლზე ჩაატარა ექსპერტიზა, რასაც საქმესთან შემხებლობა არ ჰქონდა.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ა მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ამასთან, კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, ადვოკატის ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც.

5.4 ადვოკატს ევალება მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის (ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის N035/10 გადაწყვეტილება).

5.5 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიის კვლევის საგანს წარმოადგენს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული პრეტენზიების დამტკიცების შემთხვევაში, დაარღვია თუ არა ადვოკატმა ლ. ბ.-მ კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება, კერძოდ საპროესო კოლეგიის კვლევის საგანს წარმოადგენდა

დაედგინა რა ვალდებულებები ქონდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით ადვოკატს აღებული და შესრულდა თუ არა ადვოკატის მხრიდან ნაკისრი ვალდებულება.

5.6 აღსანიშნავია, რომ ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ პრეტენზიებს და აღნიშნავს, რომ მან ყველა ღონე იხმარა მ. გ.-ს ინტერესების დასაცავად, მოიძია საჭირო დოკუმენტაცია და საცხოვრებელ ბინაზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე მოამზადა სარჩელი, რათა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით დაეწყო საქმისწარმოება, თუმცა მ. გ.-მ შეწყვიტა მასთან ურთიერთობა, რამაც ადვოკატს არ მისცა საშუალება საქმე სასამართლოში გაეგრძელებინა.

5.7 ადვოკატმა ლ. ბ.-მ აღნიშნა, რომ მ. გ.-ს საქმის წარმოების მიზნით მოიძია და გამოითხოვა სხვადასხვა დოკუმენტაცია, რაშიც გასწია დანახარჯები. კერძოდ: დამოუკიდებელ ექსპერტის მიერ ჩატარდა საცხოვრებელი სახლის შეფასება, რაშიც გადაიხადა 400 (ოთხასი) ლარი; ადვოკატმა მოამზადებინა შიდა აზომვითი ნახაზები, რისთვისაც ამზომველს გადაუხადა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი; რუსულ ენაზე შედგენილი საბინაო წიგნის ჩანაწერები გადაათარგმნინა თარჯიმანს და ნოტარიულად დაამოწმებინა, რაშიც დაახლოებით 120 ლარი გადაიხადა; გამოითხოვა ცნობები საჯარო და სამოქალაქო რეესტრიდან - გაასწორა სააქტო ჩანაწერში არსებული არასწორი ჩანაწერი; გამოითხოვა ცნობები საინფორმაციო ბარათების შესახებ და მათში გადაიხადა 20 ლარი; გამოითხოვა ქონების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა და მასში გადაიხადა 10 ლარი; გამოითხოვა გარდაცვალების მოწმობები და მათი სააქტო ჩანაწერები და გადაიხადა - 5 ლარი, გამოითხოვა ფორმა ერთი და ცვლილება შეიტანა ჩანაწერში სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც დაჯდა 40 ლარი, გაამზადა სარჩელი და დაიბარა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ახლობელი, რადგან თავად საჩივრის ავტორი არ იმყოფებოდა საქართველოში და მას აუხსნა საქმის გარემოებები. ადვოკატმა სადავო ბინაში რეგისტრირებულ პირზე ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართა სხვადასხვა დაწესებულებებს, მათ შორის საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სამხედრო განყოფილებას, სანოტარო პალატას. ასევე ადვოკატმა ინფორმაცია მოიძია მ. გ.-ს მამის შესახებ, რომელსაც სადავო ბინაში რეგისტრირებულ პირთან გაფორმებული ჰქონდა შინაურული ნასყიდობის ხელშეკრულება.

5.8 საპროცესო კოლეგიამ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლის მიხედვით მ. გ.-სა და ლ. ბ.-ს შორის 2013 წლის 02 სექტემბერს დაიდო ხელშეკრულება (ს.ფ. 10), რომლითაც ლ. ბ.-მ აიღო ვალდებულება ეწარმოებინა მ. გ.-ს საბინაო დავასთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმე, ამავე დღეს საჩივრის ავტორმა ადვოკატს მინდობილობის საფუძველზე მიანიჭა უფლებამოსილება დაეცვა მისი ინტერესები (ს.ფ. 9); საჩივრის ავტორმა ადვოკატ ლ. ბ.-ის სახელზე კვლავ გასცა მინდობილობა 2014 წლის 01 აგვისტოს (ს.ფ. 8), ორივე მინდობილობა გაცემული იყო განუსაზღვრელი ვადით, მის გაუქმებამდე. საქმეში წარმოდგენილია მ. გ.-ს 2014 წლის 18 ოქტომბრის მიმართვა, რომელიც გაგზავნილი იქნა ნიკოლოზ სენაშვილის მიერ ადვოკატ ლ. ბ.-თან. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ 2014 წლის 18 ოქტომბერს მ. გ.-მ გააუქმა ლ. ბ.-ის სახელზე გაცემული მინდობილობები (ს.ფ. 31).

5.9 ადვოკატის მიერ მითითებული გარემოებებიდან, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ 2013 წლის 02 სექტემბრიდან 2014 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით ადვოკატმა

ლ. ბ.-მ მ. გ.-ს საქმესთან დაკავშირებით შეადგინა სარჩელი, რომელიც ეთიკის კომისიაში თავად საჩივრის ავტორმა წარმოადგინა (ს.ფ. 12-22). ასევე დამოუკიდებელ ექსპერტს შეაფასებინა სადავო საცხოვრებელ სახლზე ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება (ს.ფ. 26-27). ადვოკატმა წარმოადგინა ჩანაწერები, რომელსაც აწარმოებდა მ. გ.-ს საქმეზე, სადაც აღნიშნულია საქმის მომზადების მიზნით სავარაუდო დოკუმენტაციის ჩამონათვალი (ს.ფ. 30).

5.10 ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მ. გ.-სა და ლ. ბ.-ს შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა და ადვოკატმა ამ ურთიერთობის ფარგლებში განახორციელა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მოქედებები. საჩივრის ავტორის განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე ასევე დგინდება, რომ საჩივრის ავტორმა თავად შეწყვიტა ადვოკატთან ურთიერთობა, მას შემდეგ რაც ადვოკატს გამოართვა საქმის მასალები.

5.11 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 27-33-ე მუხლების თანახმად დისციპლინური საქმეთა განხილვა მიმდინარეობს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით. არცერთი მხარე არ არის შეზღუდული წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული საჭირო მტკიცებულები.

5.12 მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა ადვოკატის მოქმედებების არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდისიერად შეფასების საშუალებას იმ ეტაპამდე, სანამ კლიენტი მას მინდობილობას გაუუქმებდა. ამასთანავე, საჩივრის ავტორის პრეტენზიები უკავშირდება ადვოკატის ტაქტიკას და საქმის წარმოების სტრატეგიას, რასაც ეთიკის კომისია ვერ აფასებს.

5.13 საპროცესო კოლეგია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის დარღვევის თაობაზე, რის გამოც ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.14 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის მოთხოვნასთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ ჰონორარის თანხის დაბრუნების თაობაზე განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს". შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის თანხის დაბრუნების მოთხოვნათა განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის, რადგან აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, რაც წარმოადგენს სასამართლოს განსჯად საკითხს.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 4.6 მუხლით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №137/18 ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/